კონფიდენციალურობის პოლიტიკა

1. დოკუმენტის შექმნის მიზანი

1.1 სს „ნიუ ვიჟენ დაზღვევისთვის“ (შემდგომში - „კომპანია“/“მზღვეველი“/“საზოგდოება“) ფუნდამენტურ ღირებულებას წარმოადგენს ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების, მათ შორის, პიროვნების თავისუფალი განვითარების, პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებების დაცვა.

1.2 კომპანიისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი მომხმარებლების, დასაქმებულების, კონტრაქტორების/ა სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფი პირების და ნებისმიერი სხვა მესამე პირის შესახებ კონფიდენციალურობის დაცვა. შესაბამისად, კომპანიაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მონაცემთა სუბიექტთა პერსონალური მონაცემების კანონიერად დამუშავებას და დაცვას.

1.3 წინამდებარე „კონფიდენციალურობის პოლიტიკა“ (შემდგომში - „პოლიტიკა“) აღწერს „ნიუ ვიჟენ დაზღვევის“ მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავების პროცესს და მონაცემთა სუბიექტის უფლებათა დაცვის გარანტიებს.

1.4 წინამდებარე „პოლიტიკა“ სრულად ვრცელდება „კომპანიის“ მიერ პერსონალური მონაცემების ავტომატური, ნახევრად ავტომატური ან არაავტომატური საშუალებების გამოყენებით დამუშავების დროს როგორც დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირზე, ისე „კომპანიის“ ყველა თანამშრომელზე, ვინც მონაწილეობას იღებს მონაცემების დამუშავებაში, მონაცემთა მიმღებზე და დამუშავებაზე უფლებამოსილ იმ პირებზე, რომლებიც პერსონალურ მონაცემებს ამუშავებენ „კომპანიისთვის“ ან მისი სახელით.

1.5 წინამდებარე „პოლიტიკა“ შესაძლოა დროდადრო განახლდეს პოლიტიკაში ცვლილებების შეტანის გზით. მოქმედი დაცვის პოლიტიკის გაცნობა შესაძლებელია შემდეგ ვებ.გვერდზე: https://nvi.ge/.

2. ტერმინთა განმარტება

2.1 წინამდებარე პოლიტიკაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

- **„დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი“** - პოლიტიკაში, ასევე, მოხსენიებული როგორც **„ჩვენ“, „ჩვენი“** – საქართველოს კანონმდებლობის თანახმად ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანია - სს „ნიუ ვიჟენ დაზღვევა“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 402160022; იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ე. მიქელაძის 1ბ; ტელეფონის ნომერი: 032 2 501 501; ელექტრონული ფოსტის მისამართი: info@nvi.ge; ვებ.გვერდი: www.nvi.ge;
- **დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი** – ფიზიკური პირი, იურიდიული პირი ან საჯარო დაწესებულება, რომელიც მონაცემებს ამუშავებს სს „ნიუ ვიჟენ დაზღვევისთვის“ ან მისი სახელით.
- **„მონაცემთა სუბიექტი“ -** პოლიტიკაში, ასევე, მოხსენიებული როგორც **„თქვენ“, „თქვენი“** - ნებისმიერი ფიზიკური პირი, (მათ შორის, „ნიუ ვიჟენ დაზღვევის“ პოტენციური ან არსებული მომხმარებელი - დამზღვევი/დაზღვეული, დასაქმების კანდიდატი/დასაქმებული, სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფი პირი და სხვ.) რომლის შესახებ მონაცემებიც მუშავდება „კომპანიის“ მიერ;
- **„პერსონალური მონაცემი“** - პოლიტიკაში, ასევე, მოხსენიებული როგორც **„მონაცემი“** - ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს უკავშირდება.
- **„მონაცემთა დამუშავება“** – მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება, მათ შორის, მათი შეგროვება, მოპოვება, მათზე წვდომა, მათი ფოტოგადაღება, ვიდეომონიტორინგი ან/და აუდიომონიტორინგი, ორგანიზება, დაჯგუფება, ურთიერთდაკავშირება, შენახვა, შეცვლა, აღდგენა, გამოთხოვა, გამოყენება, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება, აგრეთვე მონაცემთა გამჟღავნება მათი გადაცემით, გასაჯაროებით, გავრცელებით ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომით;
- **„მონაცემთა ავტომატური საშუალებებით დამუშავება“** – მონაცემთა დამუშავება ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით;

- **„მონაცემთა არაავტომატური საშუალებებით დამუშავება“** – მონაცემთა დამუშავება ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე;
- **„მონაცემთა ნახევრად ავტომატური საშუალებებით დამუშავება“** – მონაცემთა დამუშავება ავტომატური საშუალებებისა და არაავტომატური საშუალებების ერთობლივი გამოყენებით;
- **„პირდაპირი მარკეტინგი“** – ტელეფონის, ფოსტის, ელექტრონული ფოსტის ან სხვა ელექტრონული საშუალებით მონაცემთა სუბიექტისთვის ინფორმაციის პირდაპირი და უშუალო მიწოდება კომპანიის საქონლის, იდეის, მომსახურების, სამუშაოს ან/და წამოწყების, აგრეთვე საიმიჯო და სოციალური თემატიკისადმი ინტერესის ფორმირების, შენარჩუნების, რეალიზაციის ან/და მხარდაჭერის მიზნით;
- **„მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობა“** – თანხმობა, რომელსაც მონაცემთა სუბიექტმა ხელი მოაწერა ან რომელიც მან სხვაგვარად გამოხატა წერილობით (მათ შორის, ელექტრონულად) მის შესახებ მონაცემთა კონკრეტული მიზნით დამუშავებაზე შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემდეგ;
- **„პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი“** – სს „ნიუ ვიჟენ დაზღვევის“ მიერ განსაზღვრული/დანიშნული პირი, რომელიც ასრულებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ფუნქციებს და რომლის მონაცემებიც განთავსებულია შემდეგ ვებ.გვერდებზე: www.nvi.ge; https://pdps.ge/.

3. მონაცემთა დამუშავების პრინციპები

პერსონალური მონაცემების დამუშავების პროცესში ჩვენ ვიცავთ შემდეგ პრინციპებს:

- **კანონიერების და სამართლიანობის პრინციპი** – ჩვენ ვამუშავებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს მხოლოდ კანონით დადგენილი წესებითა და საფუძვლებით. ჩვენ უზრუნველვყოფთ თქვენი უფლებების სათანადო დაცვას თანასწორობის (დისკრიმინაციის გამორიცხვის) პრინციპის დაცვით;
- **გამჭვირვალობის პრინციპი** – კომპანიაში მონაცემთა დამუშავების პროცესი გამჭვირვალეა თქვენთვის, მონაცემთა სუბიექტისთვის. თქვენ ნებისმიერ დროს შეგიძლიათ მოგვმართოთ და მიიღოთ ინფორმაცია თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ საქართველოს კანონმდებლობითა და წინამდებარე დოკუმენტით დადგენილი წესით და ვადებში;
- **მიზნის შეზღუდვის პრინციპი** – ჩვენ ვამუშავებთ პერსონალურ მონაცემებს მხოლოდ იმ კონკრეტული მიზნით, რა მიზნითაც მოხდა მათი მოპოვება. თქვენი თანხმობით მოპოვებული მონაცემების სხვა მიზნით გამოყენებისთვის ხელახლა ვითხოვთ თქვენს თანხმობას;
- **მონაცემთა მინიმიზაციის პრინციპი** – მონაცემებს ვამუშავებთ მხოლოდ იმ მოცულობით, რაც აუცილებელია მიზნის მისაღწევად, მიზნისა და მონაცემთა მოცულობის თანაზომიერების გათვალისწინებით;
- **მონაცემთა სიზუსტის პრინციპი -** ჩვენ ვზრუნავთ, რომ ჩვენთან დაცული პერსონალური მონაცემები იყოს ზუსტი და ნამდვილი. არაზუსტ მონაცემებს დაუყოვნებლივ ვასწორებთ ან ვშლით, როგორც თქვენი მოთხოვნის საფუძველზე, ასევე, ჩვენს მიერ შეცდომის აღმოჩენის შემთხვევაში;
- **ვადის შეზღუდვის პრინციპი** – ჩვენ ვინახავთ მონაცემებს მხოლოდ იმ ვადით, რაც აუცილებელია მიზნის მისაღწევად. პერსონალურ მონაცემთა შენახვისათვის ჩვენ წინასწარ განვსაზღვრავთ კონკრეტულ ვადას ან ვუთითებთ ვადის განსაზღვრის კრიტერიუმს;
- **მონაცემთა უსაფრთხოების პრინციპი** – მონაცემების უსაფრთხოების დაცვის მიზნით მონაცემთა დამუშავებისას ჩვენ ვიღებთ ისეთ ტექნიკურ და ორგანიზაციულ ზომებს, რომლებიც სათანადოდ უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას, მათ შორის, უნებართვო ან უკანონო დამუშავებისგან, შემთხვევითი დაკარგვისგან, განადგურებისგან ან/და დაზიანებისგან.

4. პერსონალური მონაცემების დამუშავების მიზანი და პროცესი

4.1 „კომპანია“ ძირითადად ამუშავებს შემდეგი პირების მონაცემებს:

სადაზღვევო საქმიანობის განხორციელებისას:

- პოტენციური დამზღვევი;
- დამზღვევი/დაზღვეული/მოსარგებლე;
- უფლებამოსილი მძღოლი;
- პრემიის გადამხდელი პირი;
- სუბროგაციის დროს - ზიანის მიმყენებელი პირი;
- სადაზღვევო შემთხვევაში მონაწილე პირი;
- მესამე პირი, ვისაც სადაზღვევო შემთხვევის შედეგად მიადგა ზიანი;
- საბოლოო ბენეფიციარი.
- საბანკო გარანტიის გაცემისას - პრინციპალი, უძრავი ქონების მესაკუთრე, თავდები.

შრომითი ურთიერთობის და მომსახურების მიღების მიზნებისთვის:

- დასაქმების კანდიდატი/პოტენციური სტაჟიორი;
- დასაქმებული/თანამშრომელი;
- თანამშრომლის ოჯახის წევრი;
- სტაჟიორი;
- მომსახურების ხელშეკრულების მხარე/შემსრულებელი.
- სასამსახურო ხელშეკრულების მხარე.

აუდიომონიტორინგისას:

- კომპანიაში შემომავალი ან გამავალი ზარის დროს საუბრის მონაწილე.

ვიდეომონიტორინგისას:

- შენობაში ან გარე პერიმეტრზე მყოფი და ვიდეოჩანაწერში მოხვედრილი ნებისმიერი პირი, მათ შორის, თანამშრომელი.

4.2 „კომპანიაში“ თქვენი მონაცემები მუშავდება მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია კანონიერი მიზნის მისაღწევად და მხოლოდ იმ ვადით, რაც აუცილებელია, მონაცემების დამუშავების მიზნის მისაღწევად.

4.3 „კომპანიაში“ თქვენი პერსონალური მონაცემები შესაძლოა დამუშავდეს სხვადასხვა მიზნით, თუმცა მიზანი ყოველთვის არის კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული და ლეგიტიმური. ამასთან, „კომპანიის“ მიერ კონკრეტული მიზნით მოპოვებული პერსონალური მონაცემი არ მუშავდება შემდეგ თავდაპირველ მიზანთან შეუთავსებელი მიზნით.

4.4 სადაზღვევო საქმიანობის განხორციელებისას თქვენი მონაცემების შეგროვება ძირითადად ხორციელდება შემდეგი მიზნით:

- პოტენციური მომხმარებლის/დამზღვევის მოძიება;
- დამზღვევთან/პრინციპალთან სახელშეკრულებო ურთიერთობის დამყარება/მომსახურების გაწევა;
- სადაზღვევო რისკის დამუშავება/სადაზღვევო პირობების შედგენა;
- ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობა;
- სადაზღვევო შემთხვევის რეგულირება (მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავება ჯანმრთელობის დაზღვევის დროს);
- სუბროგაციის უფლების გამოყენება;
- დებიტორული დავალიანებების მართვა.
- კომპანიის ტერიტორიაზე ვიდეომონიტორინგის განხორციელებით უსაფრთხოების დაცვა;
- მომხმარებელთან სატელეფონო კომონიკაციისას მომსახურების ხარისხის მონიტორინგი.

4.5 თუ თქვენ წარმოადგენთ დასაქმების კანდიდატს/თანამშრომელს/აგენტს ან თანამშრომლის ოჯახის წევრს, „კომპანიაში“ თქვენი პერსონალური მონაცემი შეიძლება დამუშავდეს შემდეგი მიზნით:

- კვალიფიციური კადრის მოძიება, შერჩევა;
- შრომითი ხელშეკრულების გაფორმება;

- შესასრულებელ სამუშაოსთან პოტენციური დასაქმებულის შესაბამისობის დადგენა, კვალიფიკაციის შემოწმება.
- შრომითი, სასამსახურო, მომსახურების, დაზღვევის სფეროში ურთიერთთანამშრომლობის, სტაჟირების შესახებ ხელშეკრულების გაფორმება;
- სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობების შესრულება;
- თანამშრომელთა და მის ოჯახის წევრთა ჯანმრთელობის დაზღვევა;
- თანამშრომლისათვის სახელფასო ბარათის დამზადება ან არსებულ ანგარიშზე სახელფასო პირობების გავრცელება;
- თანამშრომლების Fitpass-ში ჩართვა.
- თანამშრომლისათვის კორპორატიული ნომრის გადაცემა.

4.6 კომპანიაში მონაცემები ინახება იმ ვადით, რაც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნის მისაღწევად.

4.7 პერსონალურ მონაცემთა სახეები:

4.7.1 დასაქმების კანდიდატის მონაცემების დამუშავებისას (მიზანი - დასაქმების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება):

- სახელი, გვარი;
- ტელეფონის ნომერი;
- ელექტრონული ფოსტის მისამართი;
- CV-ში მითითებული ინფორმაცია;
- ტესტირების/დავალების შედეგი;

4.7.2 დასაქმებული/სასამსახურო ხელშეკრულების მხარის მონაცემთა დამუშავებისას (მიზანი შრომითი ხელშეკრულების გაფორმება/შრომითი ურთიერთობით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება და უფლებების განხორციელება):

- სახელი, გვარი;
- პირადი ნომერი;
- დაბადების თარიღი;
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი/პასპორტი;
- მოქალაქეობა;
- სამხ. აღრიცხვის შესახებ ინფორმაცია;
- იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი;
- საბანკო ანგარიშის ნომერი;
- მობილური და სახლის ტელეფონის ნომერი;
- ელ-ფოსტის მისამართი;
- საავადმყოფო ფურცელი.

4.7.3 დამზღვევი/დაზღვეული/მოსარგებლის მონაცემთა დამუშავებისას (მიზანი: სახელშეკრულებო ურთიერთობის დამყარება-ვალდებულებების შესრულება):

- სახელი, გვარი,
- პირადი ნომერი,
- ქორწინების მოწმობა,
- სამკვიდრო მოწმობა,
- საბანკო ანგარიში;
- სამედიცინო დოკუმენტაცია (ფორმა ასი და ა.შ.);
- საპატრულო დოკუმენტაცია.

4.7.4 მომსახურების გამწევი პირის, მათ შორის აგენტის მონაცემთა დამუშავებისას (მიზანი: სახელშეკრულებო ურთიერთობის დამყარება-ვალდებულებების შესრულება):

- სახელი, გვარი,

- პირადი ნომერი,
- საბანკო ანგარიშის ნომერი,
- მობ. ტელეფონის ნომერი,
- ელ-ფოსტა,
- იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი,
- პასპორტის ნომერი.

4.7.5 თანამშრომლების ოჯახის წევრთა მონაცემების დამუშავებისას (მიზანი - ოჯახიეს წევრების ჯანმრთელობის დაზღვევა, Fitpass-ში ჩართვა, სხვადასხვა ბენეფიტის გავრცელება):

- სახელი, გვარი;
- პირადი ნომერი;
- ასაკი;
- მობილური ტელეფონის ნომერი;
- ელ-ფოსტის მისამართი;
- იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი;
- დაბადების მოწმობა;
- ქორწინების მოწმობა.

5 პერსონალური მონაცემების დამუშავების საფუძველი

5.1 „კომპანიაში“ თქვენი პერსონალური მონაცემები მუშავდება მხოლოდ შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში. მონაცემთა დამუშავების დროს შესაძლოა არსებობდეს ერთი ან ერთდროულად რამდენიმე საფუძველი.

5.2 კომპანიაში მონაცემთა დამუშავება ხორციელდება შემდეგი რომელიმე საფუძვლით:

- თქვენ განცხადებული გაქვთ თანხმობა თქვენს შესახებ მონაცემთა ერთი ან რამდენიმე კონკრეტული მიზნით დამუშავებაზე;
- მონაცემთა დამუშავება აუცილებელია თქვენთან დადებული გარიგებით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად ან თქვენი მოთხოვნით გარიგების დასადებად;
- მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია კანონით;
- მონაცემთა დამუშავება საჭიროა ჩვენ მიერ საქართველოს კანონმდებლობით ჩვენთვის დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად;
- კანონის თანახმად, მონაცემი საჯაროდ ხელმისაწვდომია ან თქვენ იგი საჯაროდ ხელმისაწვდომი გახადეთ;
- მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად;
- მონაცემთა დამუშავება აუცილებელია ჩვენი ან მესამე პირის მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესების დასაცავად, გარდა იმ შემთხვევისა, თუ არსებობს თქვენი უფლებების დაცვის აღმატებული ინტერესი;
- მონაცემთა დამუშავება აუცილებელია თქვენი განცხადების განსახილველად (თქვენთვის მომსახურების გასაწევად).
- არსებობს „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძველი.

6 მონაცემთა დამუშავება დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მეშვეობით

6.1 უფლებამოსილი პირი თქვენს პერსონალურ მონაცემებს ამუშავებს „კომპანიისთვის“ ან მისი სახელით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას მასთან გაფორმებული აქვს შესაბამისი წერილობითი ხელშეკრულება/შეთანხმება, რომლითაც განსაზღვრულია დამუშავების საფუძვლები და მიზნები, დასამუშავებელ მონაცემთა კატეგორიები, მონაცემთა დამუშავების ვადა და დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისა და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის უფლებები და ვალდებულებები.

6.2 ყველა უფლებამოსილი პირი, რომელიც მონაცემთა სუბიექტთა მონაცემებს ამუშავებს საზოგადოების სახელით ან მისი მიზნებისთვის, ვალდებულია:

- დაამუშაოს მონაცემები მხოლოდ „კომპანიის“ წერილობითი დავალების ან მითითების შესაბამისად;
- უზრუნველყოს, რომ იმ ფიზიკურ პირს, რომელიც უშუალოდ მონაწილეობს მონაცემთა დამუშავებაში, ჰქონდეს კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება;
- უზრუნველყოს მონაცემთა უსაფრთხოება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის შესაბამისად;
- წაშალოს ან კომპანიას გადასცეს მონაცემები წერილობითი შეთანხმების გაუქმების ან მოქმედების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე წაშალოს მათი ასლები, თუ მათი შენახვის ვალდებულება საქართველოს კანონმდებლობით არ არის დადგენილი;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონით დადგენილ ვალდებულებებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად „კომპანიას“ მიაწოდოს სათანადო ინფორმაცია და ხელი შეუწყოს მის მიერ მონაცემთა დამუშავების მონიტორინგის განხორციელებას.

6.3 ყველა უფლებამოსილი პირი ვალდებულია, რომ მონაცემები დაამუშაოს იმ მიზნით, რაც განსაზღვრული აქვს „კომპანიისგან“ და დაიცვას მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა. ამასთან, უფლებამოსილი პირი ვალდებულია დანერგილი ჰქონდეს უსაფრთხოების ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები. აღნიშნული ვალდებულებების დარღვევისთვის უფლებამოსილი პირი პასუხისმგებელია „კომპანიისთვის“ ან ნებისმიერი მესამე პირისთვის მიყენებულ ზიანზე/ზარალზე სრულად.

6.4 საზოგადოება მონაცემთა დამუშავებისას უფლებამოსილი პირის რესურსს იყენებს მხოლოდ ქოლცენტრში შემომავალი და გამავალი ზარების განხორციელებისას, კერძოდ, ტექნიკური მხარდაჭერის პროცესში უფლებამოსილი პირია **შპს „არკომი“** (ს/ნ: 404458840; იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, მარჯანიშვილის ქ., N18; აღნიშნული კომპანია შესაბამისი წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე ტექნიკურ მომსახურებას უწევს კომპანიას აუდიომონიტორინგის პროცესში, მათ შორის, კომპანიის სახელით და მისი მიზნებისთვის ინახავს ცხელი ხაზის ნომერზე განხორციელებულ შემომავალ და გამავალ ზარებს.

7 ვიდეომონიტორინგის წესი

7.1 კომპანიაში ვიდეომონიტორინგი ხორციელდება ვიდეოჩაწერისა და ვიდეოკონტროლის ფორმით, აუდიოჩაწერის გარეშე, მხოლოდ იმ ვიდეოკამერებით, რომელიც დამონტაჟებულია საზოგადოების მიერ.

7.2 კომპანიაში ვიდეომონიტორინგი ხორციელდება დანაშაულის თავიდან აცილების, მისი გამოვლენის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, საკუთრების დაცვის, საქმიანობის ეფექტიანად განხორციელების, პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნებისთვის.

7.3 ვიდეომონიტორინგი ხორციელდება კომპანიის შენობებსა და მათ მიმდებარე ტერიტორიაზე, როგორც დახურულ, ასევე ღია სივრცეში, კერძოდ:

ა) შენობის შესასვლელსა და გასასვლელში (გარე პერიმეტრის ხედვით);
ბ) შენობის დერეფნებში;
გ) არქივის ოთახთან;
დ) კომპანიის უძრავის ქონების მიმდებარე ტერიტორიაზე ღია სივრცეში;

7.4 კომპანიის ტერიტორიაზე თვალსაჩინო ადგილებში განთავსებულია ვიდეომონიტორინგის მიმდინარეობის შესახებ გამაფრთხილებელი ნიშნები, რითიც მონაცემთა სუბიექტს ეძლევა შესაძლებლობა, რომ ჰქონდეს ინფორმაცია სად არის განთავსებული ვიდეომეთვალყურეობის სისტემები.

7.5 ვიდეოჩაწერა ხორციელდება უწყვეტად, 24 საათიან რეჟიმში. ვიდეოჩანაწერი ინახება ორგანიზაციის სერვერზე.

7.6 ვიდეომონიტორინგის შედეგად მიღებული ვიდეო ჩანაწერები კომპანიაში, სტანდარტულად ინახება 30 (ოცდაათი) დღის განმავლობასი განმავლობაში.

8 აუდიომონიტორინგის წესი

8.1 კომპანიაში აუდიომონიტორინგი ხორციელდება აუდიოჩაწერისა და აუდიოკონტროლის ფორმით.

8.2 კომპანიაში აუდიომონიტორინგი ხორციელდება კომპანიის ნომრ(ებ)ის (მხოლოდ ქალაქის (032)) მეშვეობით/გავლით.

8.3 კომპანიის მიერ აუდიომონიტორინგი ხორციელდება მისი მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესების დასაცავად, კერძოდ, აუდიომონიტორინგის განხორციელების მიზანია მომსახურების სრულყოფა და ჯეროვნად შესრულება, განცხადებების, პრეტენზიების განხილვა და დროული რეაგირება, მონაცემთა სუბიექტების პერსონალური მონაცემების გამჟღავნებისგან, უკანონო დამუშავებისგან, ხელყოფისგან ეფექტიანად დაცვა, ასევე, კომპანიის სხვა ლეგიტიმური ინტერესების დაცვა (მათ შორის, მომსახურების ჯეროვნად გაწევის, სადაზღვევო შემთხვევების რეგულირებისა და სუბროგაციის უფლების გამოყენების/დებიტორული დავალიანების მართვის დროს იურიდიული ძალის მქონე მტკიცებულების შექმნა).

8.4 ცხელი ხაზის ნომერზე მომხმარებლის მხრიდან ზარის განხორცილებისას/ცხელი ხაზის ნომრიდან კომპანიის მიერ გამავალი ზარის განხორციელებისას ავტომოპასუხის ფუნქციის დაწყებისთანავე (სხვადასხვა ღილაკების მეშვეობით სხვადასხვა მომსახურების შეთავაზებამდე), ავტომატურ რეჟიმში ხორციელდება მონაცემთა სუბიექტის ინფორმირება აუდიომონიტორინგის განხორციელების თაობაზე. მონაცემთა სუბიექტს ინფორმაცია აუდიომონიტორინგის თაობაზე მიეწოდება მკაფიოდ და ნათლად.

8.5 აუდიომონიტორინგის განხორციელებისას კომპანია ახდენს შემდეგი მონაცემების დამუშავებას:

- მონაცემთა სუბიექტის ტელეფონის ნომერი;
- ხმა (ხმოვანი სიგნალი);
- სატელეფონო საუბრისას გამჟღავნებული ინფორმაცია;

8.6 მონაცემთა სუბიექტის მიერ კომპანიის ცხელ ხაზზე დაკავშირებისას საინფორმაციო სამსახურის თანამშრომელი არ ახორციელებს პირის იდენტიფიცირებას, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

- თუ მონაცემთა სუბიექტი აფიქსირებს სადაზღვევო შემთხვევას;
- თუ მონაცემთა სუბიექტი ითხოვს პოლისით გათვალისწინებული მომსახურების მიღებას;
- თუ მონაცემთა სუბიექტი აფიქსირებს სადაზღვევო პრეტენზიას;
- თუ მონაცემთა სუბიექტს ჭირდება ინფორმაციის მიწოდება მის სადაზღვევო შემთხვევასთან, სადაზღვევო პოლისთან, სადაზღვევო ანაზღაურების დეტალებთან დაკავშირებით ან თუ თავად გაუმჟღავნებს პერსონალურ მონაცემებს ოპერატორს.

8.7 აუდიომონიტორინგის ჩანაწერის მაქსიმალური ხანგრძლივობა განისაზღვრება - 1 სატელეფონო კავშირზე - 60 წუთით აუდიოჩანაწერი კომპანიაში, სტანდარტულად, ინახება 5 (ხუთი) წლის განმავლობაში.

8.8 აუდიოჩანაწერის გადაცემა მესამე პირისთვის დასაშვებია, როდესაც არსებობს სასამართლო გადაწყვეტილება, პროკურორის/გამომძიებლის დადგენილება გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ ან როდესაც აუდიოჩანაწერი გამოთხოვილია უშუალოდ მონაცემთა სუბიექტის ან იმ მესამე პირის მიერ, რომელსაც აქვს დამუშავების მიმართ მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესი ან არსებობს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძველი მონაცემთა გადაცემის.

8.9 მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს განცხადებით მიმართოს კომპანიას და გაეცნოს მის შესახებ არსებულ აუდიოჩანაწერს ადგილზე ან/და უსასყიდლოდ მიიღოს ის მატერიალური ან/და ელექტრონული ფორმით. ის აუდიოჩანაწერი, რომელიც ასახავს მძღოლის/მესამე პირის მიერ კომპანიისათვის ცხელი ხაზის მეშვეობით მიწოდებულ ინფორმაციას სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებით, ასევე, შეიძლება გამოთხოვილი იქნას დამზღვევის მიერ მისი მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესების დასაცავად. იმ შემთხვევაში, თუ გადასაცემი აუდიოჩანაწერი იქნება დიდი მოცულობის, საზოგადოება უფლებამოსილია მოსთხოვოს მონაცემთა სუბიექტს ტექნიკური მეხსიერების ბარათის წარმოდგენა.

8.10 მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, გაეცნოს მის შესახებ არსებულ აუდიოჩანაწერს ან/და მიიღოს ის მატერიალური/ელექტრონული ფორმით მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა.

9 პირდაპირი მარკეტინგი

9.1 „კომპანია“ ახორციელებს მომხმარებლების მონაცემთა დამუშავებას პირდაპირი მარკეტინგის მიზნით მხოლოდ მონაცემთა სუბიექტის თანხმობის საფუძველზე.

9.2 მონაცემთა სუბიექტის სახელის, გვარის, მისამართის, ტელეფონის ნომრისა და ელექტრონული ფოსტის მისამართის გარდა, სხვა მონაცემების დამუშავებას პირდაპირი მარკეტინგის მიზნით კომპანია ახორციელებს მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობის საფუძველზე, რაც შეიძლება მოპოვებული იყოს ელექტრონული/მატერიალური ფორმით ან კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საშუალებებით.

9.3 კომპანია უზრუნველყოფს და თითოეულ მონაცემთა სუბიექტს შესაძლებლობა აქვს მოითხოვოს პირდაპირი მარკეტინგის მიზნით მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა იმავე ფორმით, რომლითაც პირდაპირი მარკეტინგი ხორციელდება, ან სხვა ხელმისაწვდომი და ადეკვატური საშუალებით. ასეთ დროს „კომპანია“ შეწყვეტს პირდაპირი მარკეტინგის მიზნით მონაცემთა დამუშავებას მონაცემთა სუბიექტის შესაბამისი მოთხოვნის მიღებიდან გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 7 (შვიდი) სამუშაო დღისა.

9.4 მონაცემთა სუბიექტის მიერ თანხმობის გამოხმობის უფლების განსახორციელებლად დაწესებული არ არის არც საფასური და არც რაიმე სახის შეზღუდვა.

9.5 მონაცემთა სუბიექტის მიერ მის შესახებ მონაცემთა დამუშავებაზე თანხმობის მიცემისა და თანხმობის გამოხმობის დრო და ფაქტი კომპანიაში აღირიცხება და ინახება პირდაპირი მარკეტინგის განხორციელების ვადით და პირდაპირი მარკეტინგის განხორციელების შეწყვეტიდან 1 წლის განმავლობაში.

10 მონაცემთა უსაფრთხოება

10.1 „ნიუ ვიჟენ დაზღვევაში“ მიღებულია ისეთი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები, რაც უზრუნველყოფს „კომპანიაში“ თქვენი მონაცემების დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისგან, შეცვლისაგან, გამჟღავნებისგან, მოპოვებისგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისაგან.

10.2 „კომპანიაში“ მკაცრად არის დაცული თქვენი პერსონალური მონაცემების კონფიდენციალურობა. მათზე წვდომა აქვთ მხოლოდ იმ თანამშრომლებს, ვისაც მონაცემების დამუშავება ჭირდებათ მათზე დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად. მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტაცია შენახულია ამისთვის სპეციალურად გამოყოფილ ოთახში, რომლის უსაფრთხოება უზრუნველყოფილია კომპანიის მიერ მიღებული ტექნიკური და ორგანიზაციული უსაფრთხოების ზომებით, ხოლო ელექტრონულ ბაზაზე წვდომა დაცულია და შესვლა შეუძლია მხოლოდ უფლებამოსილ პირს მომხმარებლის სახელისა და პაროლის მეშვეობით. ყველა თანამშრომელი, ვისაც კი წვდომა აქვს ინფორმაციაზე, ხელი აქვს მოწერილი კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულებაზე, რაც ვრცელდება მასთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგაც.

10.3 „კომპანიაში“ თქვენი მონაცემების დამუშავების პროცესის კანონმდებლობასთან, კომპანიის მიერ შემუშავებულ შიდა დოკუმენტებთან (პროცედურებთან) და წინამდებარე „პოლიტიკასთან“ შესაბამისობის კონტროლს ახორციელებს **პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი.**

11 თქვენი უფლებები და ვალდებულებები

11.1 თქვენ უფლება გაქვთ მოგვთხოვოთ იმის დადასტურება, მუშავდება თუ არა თქვენს შესახებ მონაცემები, დასაბუთებულია თუ არა მონაცემთა დამუშავება და მოთხოვნის შესაბამისად უსასყიდლოდ მიიღოთ შემდეგი ინფორმაცია:

ა) თქვენს შესახებ იმ მონაცემის თაობაზე, რომელიც მუშავდება, აგრეთვე ამ მონაცემის დამუშავების საფუძვლისა და მიზნის შესახებ;

ბ) მონაცემთა შეგროვების /მოპოვების წყაროს შესახებ;

გ) მონაცემთა შენახვის ვადის (დროის) შესახებ, ხოლო თუ კონკრეტული ვადის განსაზღვრა შეუძლებელია, ვადის განსაზღვრის კრიტერიუმების თაობაზე;
დ) თქვენი ამ მუხლით გათვალისწინებული უფლებების შესახებ;
ე) მონაცემთა გადაცემის სამართლებრივი საფუძვლისა და მიზნების, აგრეთვე მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების შესახებ, თუ მონაცემები გადაეცემა სხვა სახელმწიფოს ან საერთაშორისო ორგანიზაციას;
ვ) მონაცემთა მიმღების ვინაობის ან მონაცემთა მიმღებების კატეგორიების შესახებ, მათ შორის, ინფორმაცია მონაცემთა გადაცემის საფუძვლისა და მიზნის თაობაზე, თუ მონაცემები მესამე პირს გადაეცემა;
ზ) ავტომატიზებული დამუშავების, მათ შორის, პროფაილინგის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების და იმ ლოგიკის შესახებ, რომელიც გამოიყენება ამგვარი გადაწყვეტილების მისაღებად, აგრეთვე მონაცემთა დამუშავებაზე მისი გავლენისა და დამუშავების მოსალოდნელი /სავარაუდო შედეგის თაობაზე.

11.2 თქვენ უფლება გაქვთ აღნიშნული ინფორმაცია მიიღოთ მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში. ეს ვადა განსაკუთრებულ შემთხვევებში და სათანადო დასაბუთებით შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 10 სამუშაო დღით, რის შესახებაც დაუყოვნებლივ გეცნობებათ.

11.3 თქვენ უფლება გაქვთ, ჩვენთან გაეცნოთ თქვენს შესახებ არსებულ პერსონალურ მონაცემებს და უსასყიდლოდ მიიღოთ ამ მონაცემების ასლები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მონაცემთა გაცნობისთვის ან /და მონაცემთა ასლების გაცემისთვის „კომპანიის“ მიერ დადგენილია გონივრული საფასური მონაცემთა შენახვის ფორმისგან განსხვავებული ფორმით მათი გაცემისთვის დახარჯული რესურსის ან /და მოთხოვნის სიხშირის გამო.

11.4 თქვენ უფლება გაქვთ გაეცნოთ აღნიშნულ მონაცემებს ან /და მიიღოთ მათი ასლები მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა. აღნიშნული ვადა განსაკუთრებულ შემთხვევებში და სათანადო დასაბუთებით შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 10 სამუშაო დღით, რის შესახებაც დაუყოვნებლივ გეცნობებათ.

11.5 თქვენ უფლება გაქვთ, „კომპანიას“ მოსთხოვოთ თქვენს შესახებ მცდარი, არაზუსტი ან /და არასრული მონაცემების გასწორება, განახლება ან /და შევსება. ამ მოთხოვნის წარდგენიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა მონაცემები უნდა გასწორდეს, განახლდეს ან /და შეივსოს ან გეცნობებათ მოთხოვნაზე უარის თქმის საფუძველი და უარის გასაჩივრების წესი.

11.6 თუ კომპანია თქვენგან დამოუკიდებლად გამოავლენს, რომ მის ხელთ არსებული მონაცემები მცდარი, არაზუსტი ან /და არასრულია, აღნიშნული გონივრულ ვადაში გასწორდება, განახლდება ან /და შეივსება და მონაცემთა გასწორებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში გეცნობებათ.

11.7 თქვენ უფლება გაქვთ მოგვთხოვოთ თქვენს შესახებ მონაცემთა დამუშავების (მათ შორის, პროფაილინგის) შეწყვეტა, წაშლა ან განადგურება. აღნიშნული მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა შეწყდება მონაცემთა დამუშავება ან /და მონაცემები წაიშლება ან განადგურდება ან გეცნობებათ მოთხოვნაზე უარის თქმის საფუძველი და განგემარტებათ უარის გასაჩივრების წესი.

11.8 კომპანიას უფლება აქვს, უარი თქვას 11.7 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, თუ:
ა) არსებობს მონაცემთა დამუშავების კანონმდებლობით გათვალისწინებული რომელიმე საფუძველი;
ბ) მონაცემები მუშავდება სამართლებრივი მოთხოვნის ან შესაგებლის დასაბუთების მიზნით;
გ)მონაცემთა დამუშავება აუცილებელია გამოხატვის ან ინფორმაციის თავისუფლების უფლების განსახორციელებლად;
დ) მონაცემები მუშავდება კანონით გათვალისწინებული საჯარო ინტერესებისთვის არქივირების მიზნით, სამეცნიერო ან ისტორიული კვლევის ან სტატისტიკური მიზნებისთვის და მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის, წაშლის ან განადგურების უფლების განხორციელება შეუძლებელს გახდის ან მნიშვნელოვნად დააზიანებს დამუშავების მიზნების მიღწევას.

11.9 თქვენ უფლება გაქვთ, მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის, წაშლის ან განადგურების შესახებ ინფორმაცია მიიღოთ შესაბამისი მოქმედების განხორციელებისთანავე, დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა.

11.10 თქვენ უფლება გაქვთ, კომპანიას მოსთხოვოთ მონაცემთა დაბლოკვა, თუ არსებობს ერთ-ერთი შემდეგი გარემოება:
ა) სადავოდ ხდით მონაცემების ნამდვილობას ან სიზუსტეს;
ბ) მონაცემთა დამუშავება უკანონოა, თუმცა თქვენ ეწინააღმდეგებით მათ წაშლას და ითხოვთ მონაცემთა დაბლოკვას;
გ) მონაცემები საჭირო აღარ არის მათი დამუშავების მიზნის მისაღწევად, თუმცა თქვენ ისინი გჭირდებათ საჩივრის /სარჩელის წარსადგენად;
დ) მოითხოვთ მონაცემთა დამუშავების შეწყვეტას, წაშლას ან განადგურებას და მიმდინარეობს ამ მოთხოვნის განხილვა;
ე) არსებობს მონაცემების მტკიცებულებად გამოყენების მიზნით შენახვის აუცილებლობა .

12 მარეგულირებელი კანონმდებლობა

12.1 „კომპანიაში“ თქვენი პერსონალური მონაცემები მუშავდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. თქვენი უფლებები დაცულია საქართველოს კანონმდებლობისა და ევროკავშირის მონაცემთა დაცვის რეგულაციის (GDPR) შესაბამისად.

12.2 ვინაიდან, სს „ნიუ ვიჟენ დაზღვევა“ წარმოადგენს საქართველოში რეგისტრირებულ, ლიცენზირებულ სადაზღვევო კომპანიას მასზე ვრცელდება და შესაბამისად, მონაცემთა დამუშავება შესაძლოა გათვალისწინებული იყოს, მათ შორის, დაზღვევის სფეროში მოქმედი შემდეგი საკანონმდებლო აქტებით:

- „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 03 აპრილის N18 ბრძანებით დამტკიცებული „მზღვეველის მიერ სადაზღვევო მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ ინსტრუქცია“;
- საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2022 წლის 30 მაისის N55 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის ზედამხედველობას დაქვემდებარებული ანგარიშვალდებული პირის მიერ ბენეფიციარი მესაკუთრის იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის და კლიენტის მფლობელობისა და კონტროლის (მმართველობის) სტრუქტურის შესწავლის წესის დამტკიცების შესახებ;
- საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2020 წლის 05 ივნისის ბრძანება N1 „ანგარიშვალდებული პირის მიერ გარიგების თაობაზე ინფორმაციის აღრიცხვის, შენახვისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის წარდგენის წესი“;
- საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2020 წლის 05 ივნისის N2 ბრძანება „ანგარიშვალდებული პირის მიერ კლიენტის იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის წესის დამტკიცების თაობაზე“;
- ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ საქართველოს კანონი.

13 მონაცემთა დამუშავების კონტროლი

13.1 წინამდებარე პოლიტიკასთან და მონაცემთა დაცვის სფეროში მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობა მოწმდება და კონტროლდება რეგულარულად.

13.2 საზოგადოება ვალდებულია, უზრუნველყოს დასაქმებულთა პერიოდული სწავლება-ტრენინგები, რათა მიღწეული იქნას ამ პოლიტიკისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული კანონმდებლობის მოთხოვნათა განუხრელი შესრულება.

14 საკონტაქტო ინფორმაცია

14.1 იმ შემთხვევაში, თუ გსურთ, რომ მოგვმართოთ ნებისმიერი კითხვით/შეტყობინებით, განცხადებით თუ საჩივრით, რაც უკავშირდება თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავებას, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ჩვენს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს შემდეგ ელექტრონული ფოსტის მისამართზე: emchedlishvili@newvision.ge ან ტელეფონის ნომერზე: 599393322.

15 დასკვნითი დებულებები

15.1 იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე პუნქტი შესაძლოა განიმარტებოდეს ბუნდოვნად ან გამოყენებისას დადგეს კოლიზია, კომპანია იღებს ვალდებულებას უპირატესობა მიანიჭოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მაღალ ღირებულებას და მისი ქმედება შეუსაბამოს საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და გადაიხაროს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სასარგებლოდ.

15.2 საკითხები, რაც სრულად არ არის მოწესრიგებული წინამდებარე პოლიტიკით, შესაძლოა დამტკიცდეს დამატებითი დოკუმენტით, ასევე წინამდებარე პოლიტიკაში ცვლილებების შეტანით ან/და შეივსოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული დებულებებით.